

გაკვეთილი 6

სამეწარმეო საფუძვლები

მინიმალური ცოდნა გადასახადების

შესახებ

მინიმალური ცოდნა რომელიც უნდა გააჩნდეს ახალდამწყებ მეწარმეს გადასახადებისა და ბუღალტერიის შესახებ

გადასახადები, მათი დაანგარიშების წესი

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია წარმოადგენს საწყის მასალას იმისთვის, რომ დამწყებ მეწარმეს შეეძლოს სწორი წარმოდგენა ძირითადი გადასახადების შესახებ. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია გაცილებით ვრცლად და სრულყოფილად მოცემული როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსში ასევე სხვადასხვა კოდექსის განმარტებით ლიტერატურაში, რომლებიც შესაძლებელია მაღაზიებში შეიძინოთ. დაზუსტების მიზნით ავლნიშნავ, რომ თითოეული, ქვემოთ მოყვანილი წესისთვის, არსებობს გამონაკლისებიც. მათი განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს და ამიტომ აქ არამართებულია. ინტერესის შემთხვევაში ეს ინფორმაციაც შესაძლებელია საგადასახადო კოდექსში და სხვა დამხმარე ლიტერატურაში მოიძიოთ.

საშემოსავლო გადასახადი, მისი დაანგარიშების წესი

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი (ანუ საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირი) და არარეზიდენტი ფიზიკური პირი (ანუ საზღვარგარეთ მცხოვრები ფიზიკური პირი), რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი/არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

2012 წლის მდგომარეობით ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20 პროცენტით.

დამატებითი ღირებულების გადასახადი, მისი დაანგარიშების წესი

დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

დამატებითი ღირებულების გადამხდელად დარეგისტრირება სავალდებულოა იმ მომენტში, როდესაც პირის შემოსავალი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში აღემატება 100 000 ლარს. რეგისტრაციისთვის პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა მას შემდეგ რაც პირის შემოსავლებმა 100 000 ლარს გადააჭარბა.

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციიდან მოხსნა შესაძლებელია, თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი.

მაგალით დღგ-ს დაანგარიშების შესახებ: კომპანია „მაგალითი1“ დღგ გადამხდელია. მან მიიღო დაკვეთა 20 000 ლარის

ღირებულებით. მოცემულ დაკვეთაზე ფულის მიღების მომენტში ორგანიზაციას გადასახდელი ექნება $20\,000 * 18\% = 3\,600$ ლარის დღგ. დაკვეთის დასრულების შემდეგ და თანხის ანგარიშზე დარიცხვის მომენტში, შპს „მაგალითი1“-ს გაწეული ხარჯებზე მიღებული აქვს $9\,000$ ლარის დღგ ანგარიშ ფაქტურები. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ასე ვთქვათ „მოგროვებული“ აქვს $9\,000 * 18\% = 1\,620$ ლარის დღგ. კომპანიის ვალდებულება გადასახდელ დღგ-ზე შესაბამისად ამ თანხით შემცირდება და შეადგენს: $3\,600 - 1\,620 = 1\,980$ ლარს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ნათლად აჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ გაწეულ ხარჯებზე მიიღოთ დღგ ანგარიშ ფაქტურები, რათა შესაბამისად ჩაითვალოს და შეამციროთ თქვენი გადასახდელი დღგ. დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე,

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს.

მოგების გადასახადი, მისი დაანგარიშების წესი

მოგების გადასახადის გადამხდელია: ა) რეზიდენტი საწარმო; ბ) არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი საწარმო (გარდა საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლისა), რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, არის მოგების გადასახადის გადამხდელი მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით, რომელიც მცირდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებით.

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით, გარდა კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევისა.

ანგარიშ ვალდებულება საგადასახადო ორგანოსთან

პირი ანგარიშვალდებულია საგადასახადო სამსახურის წინაშე გადასახადების გადახდაზე ყოველი წლის 1 აპრილის მდგომარეობით. პირი ვალდებულია დაფაროს მიმდინარე თვის დღგ-ს ვალდებულება და საშემოსავლო გადასახადი მომავალი თვის 16 რიცხვამდე. მოგების გადასახადის დაფარვის ვალდებულება პირველ წელს წლის ბოლოს შედეგებით გადაიხდება, ხოლო შემდეგ წელს კვარტალში ერთხელ, წინა წლის მოგების გადასახადის მეოთხედის ოდენობით.

საგადასახადო ვალდებულებების დროული არგადახდა იწვევს ფინანსურ ჯარიმებს.

სხვა გადასახადები და მათი დაანგარიშების წესი

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებისა, ბიზნესის ტიპის მიხედვით, თქვენს წინაშე შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც აქ არ არის აღწერილი. როგორცაა, მაგალითად, აქციზი, ქონების გადასახადი და ა.შ.

ჩვენ არ შევუდგებით ამ გადასახადების შესწავლას. უბრალოდ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ წინასწარ გაერკვიოთ რა ტიპის გადასახადებთან გექნებათ საქმე, სავარაუდოდ როდის წარმოიშობა საგადასახადო ვალდებულება, რა რაოდენობით გადასახადები გექნებათ გასასტუმრებელი და გადასახადების გასტუმრების შემდეგ როგორ ფინანსურ მდგომარეობას შეიქმნით საკუთარ ორგანიზაციაში.

რას ვგულისხმობთ სიტყვებში „როგორ ფინანსურ მდგომარეობას შეიქმნით“? კომპანია „მაგალითი-1“-ის პირველი წლის მუშაობის დასრულების შემდეგ, ყველა სხვა გადასახადების გასტუმრების შემდეგ დარჩა 60 000 ლარი. 3 დამფუძნებელი, რომლებიც ამავე დროს ამ კომპანიის თანამშრომლები იყვნენ, ხელფასს არ იღებდნენ ფინანსური წლის დასრულებამდე. მათ წინაშე დადგა საკითხი: ა) მოცემული თანხა დაეფიქსირებინათ როგორც კომპანიის მოგება და შესაბამისად მოგების სახით გაენაწილებინათ ერთმანეთში თუ ბ) მოცემული თანხა დაეებგრათ საშემოსავლოთი და გაეტანათ როგორც ხელფასი. პარტნიორებმა უბრალო მიზეზის გამო - ეჩვენებინათ კომპანიის წარმატება, დააფიქსირეს მოგება და თანხა გაინაწილეს შესაბამისი გადასახადების შემდეგ(რაც უტოლდება საშემოსავლოს გადასახადს და ამგავრად ამ ორ ვარიანტს შორის ამ თვალსაზრისით განსხვავება არ არის). მეორე წელს, პარტნიორები უსიამოვნო სიურპრიზის წინაშე აღმოჩნდნენ. მათი ზემოთ აღწერილი არჩევანის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ ახალი წლის ყოველ კვარტალში, წინა წელს გადახდილი მოგების გადასახადის მეოთხედი უნდა გადაეხადათ. მართალია ეს დაკარგული და ტყუილად გადაყრილი ფული არ არის... მაგრამ მოულოდნელი და წინსწრებით გადასახადი თანხები კი აღმოჩნდა ახალდამწყები მეწარმეებისათვის.

პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები (ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, სალარო ჩეკი...) მათი მნიშვნელობა. განსხვავება ბუღალტრულ და ყოველდღიურ ტერმინებში

მნიშვნელოვანია, რომ ახალდამწყებ მეწარმეს სწორად ჰქონდეს გაანალიზებული რა როლი უკავია მის საქმიანობაში ბუღალტერიას. ეს როლი არის უმთავრესი და მთლიანად მისი მომავალი მდგომარეობის განმსაზღვრელი. როგორც წესი, შესაბამისი განათლების გარეშე ახალდამწყები მეწარმე თავად ვერ აწარმოებს ბუღალტერიას და ამისთვის დაქირავებული ბუღალტერი ყავს. განუსხვავებლად იმისა, თუ რამდენად გამოცდილი ბუღალტერი მუშაობს ორგანიზაციაში, იგი უსუსური იქნება თუ კომპანიის თანამშრომლებმა არ უზრუნველყვეს მისი მუშაობა პირველადი ბუღალტრული საბუთებით, როგორცაა ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, სალარო ჩეკი და ა.შ. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში მრავალი დოკუმენტის ბრუნვა ელექტრონული სახით ხდება რაც უფრო აადვილებს საქმიანობას.

ზემოთ, დღგ-ს დაანგარიშების მაგალითში, ჩვენ ვნახეთ თუ როგორ შეამცირა მეწარმემ გადასახდელი დღგ გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით სხვა შემსრულებლებისაგან მიღებული დღგ ანგარიშ-ფაქტურების ხარჯზე. ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ კომპანიის თანამშრომლებმა გაწიეს იმ მაგალითში მოხსენებული ხარჯები ისე, რომ არავითარი საბუთის მიღებაზე არ იზრუნეს. შესაბამისად კომპანიის ბუღალტერი უძღვრის იქნა ა) დაემტკიცებინა რომ ხარჯები გაწეული იქნა და ბ) ჩაეთვალა დღგ და შესაბამისად შეემცირებინა საკუთარი გადასახდელი დღგ. ამგვარად, კომპანია გაცილებით მეტ დღგ-ს და მოგების გადასახადს გადაიხდის მომავალში, ანუ უცოდინრობის გამო შეამცირებს საკუთარ სარგებელს...

ბევრი ახალდამწყები მეწარმე ხარჯს ეძახის იმ ფაქტს, რომ თანხამ დატოვა კომპანიის სალარო თუ საბანკო ანგარიში. სინამდვილეში კი ბუღალტერია ხარჯს განმარტავს საკუთარი განსაზღვრებით და დახარჯულ თანხას აღიარებს მხოლოდ ამ ხარჯის დამადასტურებელი საბუთების წარდგენის შემთხვევაში, როგორცაა ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა, სალარო ჩეკი...

კომპანიის საქმიანობა მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მის ფინანსურ სამსახურებთან (ამ შემთხვევაში ბუღალტერიასთან) თანხვედრაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია შესაძლოა ნელ-ნელა და შეუმჩნევლად, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაიშინებეს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას.